საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

**ვამტკიცებ**

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის
სენატის გადაწყვეტილება №1/3, 22.01.2018

რექტორი ______________ ი. შარაბიძე

# სენატში ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლების არჩევნების წესი და საარჩევნო პროცედურა

ND 2-O04-05

შეთანხმებულია:

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი ______________ ი. დოლიძე

ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის დეკანი ______________ რ. მამულაძე

შემუშავებულია:

იურიდიული და ადამიანური რესურსების
მართვის დეპარტამენტი ______________ რ. ყიფიანი

# შინაარსი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ნორმატიული ბაზა | 3 |
| 2 | გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები | 3 |
| 3 | ზოგადი დებულებები | 4 |
| 4 | ფაკულტეტის საბჭოს წევრის სენატის შემადგენლობაში წარდგენის პირობები | 5 |
| 5 | ფაკულტეტის საბჭოს წევრის სენატის შემადგენლობაში არჩევის შეზღუდვები და არჩევნების გამოცხადების ვადები | 5 |
| 6 | საარჩევნო კომისია | 5 |
| 7 | ფარული კენჭისყრა | 6 |
| 8 | გადაწყვეტილების მიღება | 6 |
| 9 | დანართი 1. სენატში ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლის არჩევნებიში მონაწილე კანდიდატთა რეგისტრაციის ფორმა | 7 |
| 10 | დანართი 2. სენატში ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლის არჩევნები საარჩევნო ბიულეტენი | 8 |
| 11 | გავრცელების არე | 9 |


*მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიტი „აღრიცხული ეგზემპლარი“. რევიზიტი ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლიერებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge*

# 1. ნორმატიული ბაზა

1. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-O01;
2. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2–Q03;
3. დოკუმენტების მართვის პროცედურა ND 2–Q04–01;
4. ჩანაწერების მართვის პროცედურა ND 2–Q04–02;

# 2. გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები

## 2.1.ტერმინები

1. **რექტორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სენატის თავმჯდომარე;
2. **სენატი**– უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
3. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება** – სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას (პროგრამებს). რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზება, სამეცნიერო კვლევების განხორციელება და შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა, რომელიც შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს (ხარისხებს);
4. **ფაკულტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას;
5. **დეკანი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - ფაკულტეტის ხელმძღვანელი;
6. **ფაკულტეტის საბჭო** - ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო;
7. **პროცესი** - რესურსებისა და საქმიანობის ურთიერთდაკავშირებული ერთობლიობა, რომელიც მიწოდებულ საწყის მოცემულობას (შემავალს) გარდაქმნის საბოლოო პროდუქტად (გამოსასვლელად);


მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „აღრიცხული ეგზემპლარი“. რეკვიზიტი ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge

8. **რესურსი** - ყველაფერი რაც უზრუნველყოფს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუშაობას (მიეკუთვნება პერსონალი, მომსახურება, მოწყობილობები, დროის რესურსები, ტექნოლოგია და მეთოდოლოგია.);
9. **პროცედურა** - საქმიანობის ან პროცესის შემსრულებლისათვის დადგენილი მეთოდი (ხერხი). პროცედურა შეიძლება ეწოდოს როგორც პროცესს (პროცესების ერთობლიობას), ასევე დოკუმენტს, რომელშიც აღწერილია პროცესის განხორციელების სწორი გზა;

2.1. **შემოკლებები.**

1. **ND** – ნორმატიული დოკუმენტი;
2. **აკადემია** – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;
3. **ISO** – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სენატი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (შემდეგ ტექსტში - აკადემია) კოლეგიური წარმომადგენლობითი და მართვის ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედის რექტორი, რექტორის მოადგილეები, გარდა პირველი მოადგილისა, აკადემიის ყველა სტრუქტურული ერთეულის და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი და ფაკულტეტების საბჭოების ორ-ორი წარმომადგენელი.
2. ეს წესი განსაზღვრავს აკადემიის სენატის შემადგენლობაში ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლების არჩევის წესს.


მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიტი „აღრიცხული ეგზემპლარი“. რევიზიტი ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლიერებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge

## მუხლი 2. ფაკულტეტის საბჭოს წევრის სენატის შემადგენლობაში წარდგენის პირობები

1. სენატში ფაკულტეტების საბჭოების წარმომადგენლებს ფაკულტეტების საბჭოები ირჩევენ 1 (ერთი) წლის ვადით საკუთარი შემადგენლობიდან.
2. სენატში ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლის არჩევა ხდება ფარული კენჭისყრით.
3. კანდიდატები აკადემიის სენატში წარმომადგენლად ასარჩევად განცხადებით მიმართავენ ფაკულტეტის საბჭოს.
4. კანდიდატების რეგისტრაციას ახდენს ფაკულტეტის საბჭოს მდივანი.

## მუხლი 3. ფაკულტეტის საბჭოს წევრის სენატის შემადგენლობაში არჩევის შეზღუდვები და არჩევნების გამოცხადების ვადები

1. ფაკულტეტის საბჭოზე სენატის შემადგენლობაში წარსადგენ კანდიდატად არ შეიძლება დასახელდეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, დეკანის მოადგილეები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ფაკულტეტის სტუდენტი.
2. არჩევნების ჩატარების ვადებს ადგენს ფაკულტეტის საბჭო.

## მუხლი 4. საარჩევნო კომისია

1. სენატში ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლის არჩევნების ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარებას უზრუნველყოფს საარჩევნო კომისია.
2. საარჩევნო კომისია შედგება სამი წევრისაგან.
3. პირები, რომლებიც მონაწილეობენ არჩევნებში, არ შეიძლება შეყვანილი იქნან საარჩევნო კომისიების შემადგენლობებში.
4. საარჩევნო კომისიის საქმიანობა აისახება შესაბამის საარჩევნო კომისიის ოქმებში.
5. საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს:

   ა) კანდდატების რეგისტრაციას;

   ბ) საარჩევნო ბიულეტენების დამზადებას;

გ) საარჩევნო პროცესის ორგანიზებას;

დ) ხმების დათვლას;

გ) კომისიის ოქმების წარმოებას.

## მუხლი 5. ფარული კენჭისყრა

1. საარჩევნო ბიულეტენში ჩაიწერება ყველა კონკურსანტის გვარი და სახელი რეგისტრაციის შესაბამისი თანმიმდევრობით და ბიულეტენშივე აისახება საკონკურსო ადგილების რაოდენობა.
2. ფაკულტეტის საბჭოს წევრი ხმას აძლევს ვაკანსიის შესაბამისი რაოდენობის კონკურსანტს, რისთვისაც ბიულეტენში კონკურსანტის გვარის გასწვრივ შემოხაზავს რიგით ნომერს.
3. კანდიდატებს შორის თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში, თანაბარი ხმების მქონე კანდიდატებში ტარდება ხელახალი კენჭისყრა. განმეორებით კენჭისყრაში გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა უმრავლესობას.

## მუხლი 6. გადაწყვეტილების მიღება

1. არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არანაკლებ ორი მესამედი.
2. ვაკანტურ თანამდებობაზე არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობას, მაგრამ არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 51%-ს.
3. მიღებული გადაწყვეტილების ოქმი (არჩევნების შედეგებით), სხდომის დამთავრებისთანავე წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად.
4. ფაკულტეტის დეკანი არჩეულ კანდიდატებს წაურდენს სენატს.
5. ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლები სენატში სარგებლობენ სენატის წევრის ყველა უფლებით.


*მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „აღრიცხული ეგზემპლარი". რეკვიზიტი ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge*

# 1. გავრცელების არე

1. დოკუმენტის ორიგინალი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
2. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის საკონტროლო და აღრიცხულ ექზემპლარს) განთავსებულია www.office.bsma.edu.ge
3. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლიარის დაგზავნას აწარმოებს ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური outlook-ით (სამუშაო ფოსტით) და დაკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის მეშვეობით

დანართი 1.

## სენატში ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლის არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა რეგისტრაციის ფორმა

ND 2-O04-05/1

| # | კანდიდატის სახელი და გვარი | რეგისტრაციის თარიღი | კანდიდატის ხელმოწერა | ფაკულტეტის საბჭოს მდივნის ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |


მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიტი „აღრიცხული ეგზემპლარი". რევიზიტი ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge

<u>დანართი 2.</u>

ND 2-O04-05/2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

## სენატში ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლის არჩევნები
## საარჩევნო ბიულეტენი

ფაკულტეტი: --------------------------

ვაკანტური ადგილების რაოდენობა:

არჩევნებში მონაწილეთა სია:

1.

2.

3.

რეგისტრატორი: ______________________________
ხელმოწერა

შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი კანდიდატი (ები)